საკასაციო საჩივარი

საქმის ნომერი	2კ-986ა3.-21	შედეგი	შეიცვალა სასჯელი
თარიღი	12/04/2022		

გადაწყვეტილება/განჩინება

საქმე # 330100121004510905

საქართველოს უზენაესი სასამართლო
განაჩენი
საქართველოს სახელით

საქმე №986ა3-21 ქ. თბილისი
ტ–ი თ, 986ა3-21 12 აპრილი, 2022 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლევან თევზაძე (თავმჯდომარე),
შალვა თადუმაძე, მერაბ გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ტ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ლ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 23 ივნისის განაჩენით თ. ტ–ი, - დაბადებული --- წლის 2- დეკემბერს, - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2021 წლის 15 თებერვლიდან.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ტ-მა ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2021 წლის 14 თებერვალს, ღამის საათებში, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, ალკოჰოლით მთვრალმა თ. ტ-მა ფიზიკურად იძალადა ორსულ მეუღლეზე - ე. თ-ე, კერძოდ, დააგდო ძირს, იატაკზე, შემდეგ კი ხელითა და ფეხით დარტყმები მიაყენა სახეში, მუცელსა და სხეულის სხვადასხვა არეში, რა დროსაც დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 23 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და თ. ტ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 23

ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებულ თ. ტ–ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ლ-მ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება და თ-ტ-ის გამართლება. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, საქმეში არ მოიპოვება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. ტ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ლ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია თ. ტ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მისთვის ბრალად წარდგენილი დანაშაულის ჩადენა, რაც ცალსახად დადასტურებულია საქმეში არსებული და პრეიუდიციად ცნობილი მტკიცებულებების ერთობლიობით - შეტყობინებით, დაკავების ოქმით, ალკოტესტზე შემოწმების ქვითრით, სამედიცინო ცნობით, ექსპერტიზის დასკვნით, მოწმეთა გამოკითხვის ოქმებით, რომლებზეც სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ამომწურავად იმსჯელა და რომლებიც ქმნიან უტყუარ და საკმარის ერთობლიობას გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, კერძოდ:

3. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაზარალებულმა ე. თ-ა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და არ მისცა ჩვენება მეუღლის - თ. ტ-ის წინააღმდეგ.

4. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ისეთი ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს, წარმოადგენს მოწმის უფლებას. აღნიშნული უფლებით სარგებლობა კი არ გამორიცხავს დანაშაულის ჩადენის ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოში დაკითხვისას დაზარალებულმა ე. თ--ა არათუ შეცვალა, არამედ ახლო ნათესავის - მეუღლის წინააღმდეგ არ მისცა ჩვენება, რაც უპირობოდ არ გულისხმობს გამოძიების მიმდინარეობისას საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის გამორიცხვას და დაუდასტურებლობას. დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის დროს ყურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულის პოზიციის მიღმა არსებულ მოტივებსაც, რაც, როგორც წესი, განპირობებულია ოჯახური დანაშაულის ხასიათით, მოძალადისადმი დამოკიდებულებით და სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით.

5. საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“). კონვენციის მიზნებისთვის, „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა. კონვენცია მიზნად ისახავს ქალების და ოჯახის წევრების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისაგან, მათ შორის, კონვენცია მოუწოდებს მხარეებს, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ისეთი წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით. კონვენციის თანახმად, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს.

6. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო შეტყობინება, რომლის თანახმად, 2021 წლის 15 თებერვალს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თ--ი, ნ--ს მ--- შესახვევი N--ში, დააკავეს თ. ტ–ი, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს - ე. თ-ს.

7. პატრულ-ინსპექტორ მ. ხ-ს პატაკის თანახმად, 2021 წლის 15 თებერვალს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, მეწყვილე - ლ. ჩ--ნ ერთად, გამოცხადდა ქ.თ-ი, ნ-ს -- შესახვევი N---ში, სადაც დახვდათ დაზარალებული ე. თ-ი, რომლის განმარტებითაც, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, მეუღლემ - თ. ტ-მა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.

8. პატრულ-ინსპექტორების - მ. ხ-სა და ლ. ჩ-ს გამოკითხვის ოქმებით დგინდება, რომ 2021 წლის 14 თებერვალს, ღამის საათებში მიღებული შეტყობინების საფუძველზე მივიდნენ ქ.თ-ი, ნ-ს ქუჩა, მ--- შესახვევი N---ში, სადაც დახვდათ დაზარალებული ე. თ--ი, რომელმაც განმარტა, რომ მეუღლემ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, დაარტყა მუშტი მარჯვენა

[illegible] ფიზიკური ტკივილი, [illegible] ბრალდებულის [illegible] ფეხებსა [illegible] ბრალდებულ [illegible] ტ-ი, [illegible] ბრალდებულ [illegible] ტ-ი, [illegible] ბრალდებულ [illegible] ტ-ი,

გათვალისწინებით), რომლებიც მსხვერპლის მიერ ტკივილის განცდის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალადობის ისეთი ფაქტები, სადაც დაზარალებულის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, შეუძლებელია მსხვერპლის მიერ განცდილი ტკივილის ვერბალურად გადმოცემა, დაუსჯელი დარჩებოდა (მაგალითისათვის იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №443ა3-20).

20. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ დაზარალებულ ე. თ-ის ქმედებები ნამდვილად ჰგავს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას, რომლებიც ძალადობის შემდგომ მუდმივად შიშსა და დაძაბულობაში განაგრძობენ ცხოვრებას და ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი, შეშინებულია და მოძალადისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას) მის მიმართ ლმობიერი პოზიციის დაკავებაში ხედავს, რამაც განაპირობა სწორედ მისი პირვანდელი მტკიცე ნების - ხელი შეეწყო მართლმსაჯულების განხორციელებისათვის - რადიკალური შეცვლა და სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

21. ამდენად, დაცვის მხარის მოთხოვნა გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

22. რაც შეეხება სასჯელს, ამ ნაწილში გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასიკეთო ცვლილება, კერძოდ: აღნიშნული თავისუფლების აღკვეთის ზომა უნდა შემცირდეს 4 (ოთხი) თვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

23. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, თ. ტ–ი არ არის ნასამართლევი; პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაზარალებულმა ე. თ-ა წარმოადგინა განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს თ. ტ–ის პატიმრობიდან გათავისუფლებას იმ გარემოებებზე მითითებით, რომ შეურიგდა მეუღლეს, მის მიმართ არ გააჩნია პრეტენზია და ოჯახს აქვს უმძიმესი მატერიალური მდგომარეობა (ტ.1.ს.ფ.109); სასამართლოში საქმის განხილვისას თ. ტ-მა აღიარა ჩადენილი დანაშაული.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თ ტ–ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. ტ-ისათვის გასაჩივრებული განაჩენით შეფარდებული სასჯელი - 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა შემცირდეს და საქართველოს სსკ-ის 126^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის საბოლოოოდ მოსახდელად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 2 (ორი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ თ. ტ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ლ--ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. თ. ტ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 1 (ერთი) წლითა და 2 (ორი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

4. თ. ტ–ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან - 2021 წლის 15 თებერვლიდან;

5. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ლ. **თევზაძე**

მოსამართლეები: შ. თადუმაძე

მ. გაბინაშვილი

© 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლო. ყველა უფლება დაცულია.